სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/122

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის დამატების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანლის 2020 წლის 11 აგვისტოს MES 1 20 0000681522 მოხსენებითი ბარათის, ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 12 აგვისტოს MES 6 20 0000683480 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 აგვისტოს №23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილად დაემატოს თბილისში, კახეთის გზატკეცილის №36-ში მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული 27 538 კვ.მ ფართი.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის მიზნით მოამზადოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის დამატების შესახებ განაცხადი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათები (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი კ. კუტუბიძე